ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 28

ქ. თბილისი

21.12.2017

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

1. **მანანა რატიანი** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;

2. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

3. **გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;

4. **მარინა უშვერიძე** - PH-International - საქართველოს ოფისის სამოქალაქო განათლების პროგრამის დირექტორი;

5. **ხათუნა ბარაბაძე** - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის დირექტორი;

6. **დავით მალაზონია** - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

7. **თამილა ჩუბინიძე** - სსიპ - ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე. მასწავლებელი, საბჭოს სხდომის მდივანი;

8. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის" მასწავლებელი;

2. **სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

თამარ ხატიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ლევან გოგიჩაიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ევროპული სკოლა;

სოფიო ბაზაძე - აკადემიური დირექტორი;

ლევან თოთლაძე - იურისტი;

ნანა ივანიძე - მრჩეველი;

შპს საერო სკოლა მაია მზარელუა;

მაია მზარელუა - დირექტორი;

ხათუნა გვარამია - საინფორმაციო მენეჯერი;

ა(ა)იპ ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო ცენტრი;

რუსუდან მანელიშვილი - სასწავლო პროცესის ხელმძღვანელი;

მაგდა ნადარეიშვილი - ორგანიზატორი;

შპს თბილისის დამოუკიდებელი საერო გიმნაზია კანდელი;

ქეთევან წულაია - დირექტორი;

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

მიხეილ ტეფნაძე;

ქეთევან ბაცანკალაშვილი;

ავთო აბდუშელიშვილი;

გიორგი ლასხიშვილი;

ნელი ნასყიდაშვილი;

მაკა ტუკვაძე;

დავით ჭეიშვილი;

თამარ ამზაშვილი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე მანანა რატიანი.

სხდომა გაიხსნა 16:00 საათზე, საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ევროპული სკოლისთვის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.
2. სპს საერო სკოლა მაია მზარელუას ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

3. ა(ა)იპ ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო ცენტრში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

4. შპს თბილისის დამოუკიდებელ საერო გიმნაზია კანდელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა, რაზეც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლალი შაიშმელაშვილმა საბჭოსთან დააყენა შუამდგომლობა, რომ სხდომის დღის წესრიგში შესულიყო ცვლილება და მე-5 საკითხად დამატებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილებაში, შპს ლაზარეს არასწორად დაფიქსირებული საიდენტიფიკაციო კოდის შესასწორებლად, ცვლილების შეტანის საკითხი . საბჭომ ერთხმად დაამტკიცა შეცვლილი სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ევროპული სკოლისთვის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

2. სპს საერო სკოლა მაია მზარელუას ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

3. ა(ა)იპ ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო ცენტრში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

4. შპს თბილისის დამოუკიდებელ საერო გიმნაზია კანდელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 17 აგვისტოს N58 გადაწყვეტილებაში, შპს ლაზარეს საიდენტიფიკაციო კოდის შესწორება.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას მიმართა კითხვით, იყო თუ არა ვინმე წინააღმდეგი, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დარბაზში წინააღმდგობა არავის გამოუხატავს. თავმჯდომარის მოთხოვნით დაიწყო სხდომის აუდიო ჩაწერა.

1. შპს ევროპული სკოლისთვის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მიხეილ ტეფნაძემ და ქეტევან ბაცანკალაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

საბჭოს თავმჯდომარემ, მანანა რატიანმა, გააკეთა განაცხადი ევროპული სკოლის საკითხის განხილვის დროს თვითაცილების შესახებ ინტერესთა კონფლიქტის არსებობის მიზეზით. ამ საკითხის განხილვის დროს სხდომის გაძღოლა დაევალა საბჭოს წევრ რევაზ აფხაზავას.

1.1. ექსპერტ მიხეილ ტეფნაძის თქმით, შპს ევროპულ სკოლას საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით არსებითი ხარვეზები არ გააჩნდა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, სკოლის სასწავლო გეგმა ეფუძნებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას, ხოლო საერთაშორისო ბაკალავრიატის კლასებში აგრეთვე ითვალისწინებდა საერთაშორისო ბაკალავრიატის მოთხოვნებს. სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა სამი პროგრამის მიხედვით: ეროვნული სასწავლო გეგმით, საერთაშორისო ბაკალავრიატის და ამერიკული პროგრამის მიხედვით. მოსწავლეთა რაოდენობა ჯამში შეადგენდა 734 - ს. აღნიშნული რაოდენობიდან, სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში დარეგისტრირებული იყო 600 მოსწავლე. საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამის აღიარებიდან გამომდინარე, სკოლას ბაზაში დარეგისტრირებული უნდა ჰყოლოდა ქართული და საერთაშორისო ბაკალავრიტის პროგრამის 646 მოსწავლე.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, რატომ არ იყვნენ მოსწავლეები ასახული სკოლის მართვის საინფორმაციო ბაზაში, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სკოლას ავტორიზაცია მიღებული ჰქონდა 600 მოსწავლეზე და გამომდინარე იქედან, რომ 300 მოსწავლე ირიცხებოდა ქართულ პროგრამაზე, დარჩენილი 300 ადგილის შევსება მოხდა სკოლის მიერ, საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამის აღიარების შემდეგ, ხოლო დანარჩენი 46 მოსწავლის დარეგისტრირება ვერ მოხერხდა.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

1.2. ექსპერტის განცხადებით, შპს ევროპული სკოლა, საჯარო რეესტრის 2017 წლის 11 სექტემბრის ამონაწერის მიხედვით, მდებარეობდა ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. N34ბ (ს.კ. N01.14.03.042.128). დაწესებულება აღნიშნულ მისამართზე საკუთრებაში ფლობდა 8125.00 კვ.მ-ის მიწის ნაკვეთზე მდგარ 6649.7 კვ.მ.-ის შენობა-ნაგებობას.

დაწესებულებამ, 2017 წლის აპრილიდან აგვისტოს თვის ბოლომდე, არსებულ შენობა-ნაგებობას მიაშენა 1302.6 კვ.მ.-ის ფართობი. აღნიშნული ფართობი არ იყო დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში. დაწესებულებამ წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 13 მარტის N3142834 ბრძანება, მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ, რომლის მიხედვითაც მშენებლობის ვადად განსაზღვრული იყო 2017 წლის 13 მარტიდან 2018 წლის 13 აგვისტოს ჩათვლით არსებული პერიოდი. გარდა ამისა, დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით სკოლამ მიმართა ზედამხედველობის სამსახურს, რათა მათ შეეფასებინათ უკვე დასრულებული მიშენება, რათა დაწყებულიყო მისი საჯარო რეესტრში დარეგისტრირების პროცედურები. დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, აქტიურად მუშაობდნენ, რომ მომხდარიყო შენობის საჯარო რეესტრში დარეგისტრირება.

ეროვნული სასწავლო გეგმით, საერთაშორისო ბაკალვრიატის და ამერიკული საგანამანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა საჯარო რეესტრში დარეგისტრირებულ 6309.7 კვ.მ. ფართზე. აღნიშნული ფართობი მოწყობილი იყო სამივე ზოგადსაგანმამანთლებლო პროგრამის პროცესის საჭიროების შესაბამისად. თითოეული პროგრამისათვის გამოყოფილი ფართები დაყოფილი იყო სივრცეებად, ისე, რომ სამივე პროგრამის ადმინისტრაციულ პერსონალს ჰქონდა საკუთარი სამუშაო კაბინეტი, ყველა

საგნობრივ დეპარტამენტს - საკუთარი სამუშაო ოთახი, შეხვედრების ოთახები, სააქტო დარბაზი, საკლასო ოთახები, კლასის საგნის განაყოფის ოთახები და კლუბების ოთახები. ლაბორატორიები და სხვა დამხმარე სივრცე სამივე პროგრამას საზიარო ჰქონდა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვის ამსახველი ცხრილის მიხედვით 6309.7 კვ.მ.-ის ფართობზე შესაძლებელი იყო 900 მოსწავლის საჭიროების დაკმაყოფილება.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ, საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს

წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 900 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტი.

საბჭომ იმსჯელა ავტორიზციის სტანდარტებთან შპს ევროპული სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპული სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 900-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მესამე პუნქტისა და 34-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ევროპულ სკოლას (ს/კ:205172917) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 900-ით.

2. სპს საერო სკოლა მაია მზარელუას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ავთო აბდუშელიშვილმა და გიორგი ლასხიშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

2.1. ექსპერტ ავთო აბდუშელიშვილის განცხადებით, დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით არსებითი ხარვეზი არ გააჩნდა. ექსპერტის თქმით, სკოლა მოსწავლეებს I-IV კლასებში სპორტის საათზე სთავაზობდა მხოლოდ ჭადრაკს, რაც ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარე სტანდარტის დარღვევა იყო. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, I-IV კლასებში, სპორტის გაკვეთილზე, ეზრუნა მოსწავლეთა მრავალფეროვან ფიზიკურ აქტივობაზე. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, სკოლამ ჭადრაკთან ერთად I-IV კლასებში დაამატა გამამხნევებელი ვარჯიშები და ეს ხარვეზი უკვე აღმოფხვრილი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, რაზეც საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

2.2. .ექსპერტ ავთო აბდუშელიშვილის განცხადებით, დაწესებულებას მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით არსებითი ხარვეზი არ გააჩნდა. ექსპერტის თქმით, შპს საერო სკოლა „მაია მზარელუას“ 2017 წლის 1 სექტემბერს შესყიდული ჰქონდა შპს სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯისგან 3000 (სამი ათასი) ლარის ღირებულების სამეცნიერო ლაბორატორიის არასრული აღჭურვილობა. სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული შესყიდვის დამადასტურებელი

ხელშეკრულება, თუმცა ვერ წარმოადგინა შესყიდვის დამადასტურებელი სასაქონლო ზედნადები და გადახდის/გადარიცხვის ქვითარი. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, ხარვეზი უკვე გამოსწორებული იყო და მათ თან ჰქონდათ შესაბამისი დოკუმენტაცია. ექსპერტმა, ავთო აბდუშელიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ფლობდა 4 პერსონალურ კომპიუტერს და 7 ნოუთბუქს, მათგან სასწავლო მიზნებისთვის სკოლა იყენებდა 9 კომპიუტერს. დაწესებულებას არ ჰქონდა ცალკე გამოყოფილი კომპიუტერული კაბინეტი. 3 პერსონალური კომპიუტერი იდგა სკოლის ბიბლიოთეკაში, ხოლო 6 ნოუთბუქს სკოლის პედაგოგები საჭიროებისამბერ მოიხმარდნენ სხვადასხვა კლასებში. სკოლამ აღნიშნულ ნივთებზე საკუთრების ფლობის დამადასტურებლად წარმოადგინა 7 ნაჩუქრობის და 4 შესყიდვის ხელშეკრულება სასაქონლო ზედნადებებისა და სალაროს ქვითრის გარეშე. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი 4 ნასყიდობის ხელშეკრულებიდან არცერთს არ ერთვოდა სასაქონლო ზედნადები და შესაბამისად გადახდის/გადარიცხვის ქვითარი, გამონაკლისი იყო მხოლოდ ერთი ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელსაც ერთვოდა მხოლოდ გადახდის ქვითარი სასაქონლო ზედნადების გარეშე. სკოლის წარმომადგენლმა განაცხადა, რომ ხარვეზი უკვე გამოსწორებული იყო და მას თან ჰქონდა წარმოდგენილი ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, რაზეც საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

2.3. ექსპერტ ავთო აბდუშელიშვილის განცხადებით, დაწესებულებას ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ხარვეზი არ გააჩნდა. სკოლაში მუშაობდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი პერსონალი. 2017 წლის 10 ნოემბრის მონაცემებით სკოლაში ირიცხებოდა 62 მოსწავლე. დაწესებულებაში სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო გარემოს შექმნას უზრუნველყოფდა 17 პედაგოგი, მათგან 3-ს მინიჭებული ჰქონდა უფროსი მასწავლებლის, 14-ს - პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი. სკოლა-ლიცეუმის სტრუქტურა მოიცავდა დირექციას, ადმინისტრაციას, პედაგოგიურ საბჭოს და საგნობრივ კათედრებს.

სკოლის ადმინისტრაცია და ტექნიკური პერსონალი იყო: დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში (მოქმედი პედაგოგი), სკოლის ფინანსური მენეჯერი, საქმეთა მმართველი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, IT მენეჯერი, 1 დარაჯი, 1 დამლაგებლი.

წინასწარი ხელშეკრულებები გაფორმებული იყო 7 პედაგოგთან. მათგან 5 პრაქტიკოსი მასწავლებელი იყო, 2 - უფროსი მასწავლებელი.

სკოლის პედაგოგები ჩართულნი იყვნენ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, რაზეც საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 140 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტი.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან სპს საერო სკოლა მაია მზარელუას შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს საერო სკოლა მაია მზარელუას ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 140-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სპს საერო სკოლა მაია მზარელუას (ს/კ: 239867872) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140-ით.

3. ა(ა)იპ ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო ცენტრში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნელი ნასყიდაშვილმა და მაკა ტუკვაძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

3.1. ექსპერტ ნელი ნასყიდაშვილის განცხადებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო შემაჯამებელი დავალებების ჩატარების განრიგი 2017-2018 სასწ. წლის მხოლოდ I სემესტრისათვის, რომლის მიხედვით შემაჯამებელი დავალებები უნდა ჩატარებულიყო ქართულ ენასა და ლიტერატურაში V კლასებში, მათემატიკაში - VI, IX, X კლასებში, თუმცა არცერთი შემაჯამებელი არ იყო ჩატარებული. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ თემატურ სასწავლო გეგმებში დაგეგმილი იყო შემაჯამებლის მხოლოდ ტესტური ფორმით ჩატარება. მოსწავლეებთან ფოკუსჯგუფით დადგინდა, რომ შემაჯამებლები ტარდებოდა მხოლოდ ტესტური ფორმით.

ავტორიზაციის ვიზიტის დროს (2017 წლის 11 იანვარი) ყველა კლასში და ყველა საგანში ჩატარებული იყო სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა შემაჯამებელი დავალება. შემაჯამებლები ჩატარებული იყო ძირითადად ტესტური ფორმით. განსხვავებული ფორმა ჰქონდა გამოყენებული მხოლოდ ბუნებისმეტყველების მასწავლებელს (პროექტის ფორმა VI კლასში) და მათემატიკის მასწავლებელს (ამოცანების ამოხსნა). შემაჯამებელი დავალებების

შემოწმება/შეფასება ხდებოდა კათედრებზე არსებული შეფასების ზოგადი რუბრიკებით და არა კონკრეტული შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემით. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია - ეროვნული სასწავლო გეგმის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინების აუცილებლობის შესახებ, თუმცა რეკომენდაციები არ იყო გათვალისწინებული. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იყო შემთხვევები, როდესაც მოსწავლეების არ გამოცხადების გამო მასწავლებლები 1, ან 2 დღით გადადებდნენ ხოლმე შემაჯამებლების ჩატარებას. რაც შეეხებოდა შემაჯამებლის ფორმებს, ხარვეზი უკვე გამოსწორებული იყო და ჩატარებული შემაჯამებლის ნიმუშები თან ჰქონდა წარმოდგენილი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ X, XI, XII კლასებში არ იყო არჩევითი საგნების სწავლება გათვალისწინებული. საბჭოს თავმჯდომარემ, მანანა რატიანმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რატომ არ ისწავლებოდა არჩევითი საგნები, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ვიზიტის შემდეგ გაითვალისწინეს ექსპერტის რეკომენდაცია და ხარვეზი გამოსწორებული იყო.

ექსპერტის თქმით, მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების შეფასება არ ხდებოდა შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით. კერძოდ, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით 1-2 ქულის სიტყვიერი განმარტება"დაბალი" -ის ნაცვლად მოსწავლეებს დღიურებში ეწერებოდათ - 2(ცუდი) და ქულები „მინუსით". სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლის ადმინისტრაციამ საყვედური გამოუცხადა მასწავლებელს, რომელიც არღვევდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შეფასების კრიტერიუმებს და ამასთანავე მოხდა სხვა მასწავლებლების გაფრთხილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, რაზეც საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

3.2. ექსპერტ ნელი ნასყიდაშვილის განცხადებით, დაწესებულება, უვადოდ, მონათხოვრის ფორმით ფლობდა ქ. ქობულეთში, აღმაშენებლის ქუჩა № 251-ში. 20593.კვ.მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა - ნაგებობებს, სართო ფართით 3430.6 კვ.მ. 31 საკლასო ოთახიდან სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა 25 საკლასო ოთახში, რომლებიც აღჭურვილი იყო 559 ინდივიდუალური მერხითა და 519 სკამით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით. დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და შეძენილი ჰქონდა ხანძარსაწინააღმდეგო

ინვენტარი, კერძოდ 10 ცეცხლმაქრი რომლებიც განთავსებული იყო საჭიროებისამებრ, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის დროს ისინი არ იყო მზადყოფნაში. სკოლის წარმომადგენელმა, საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი მწყობრში იყო მოყვანილი და თან ჰქონდა შესაბამის სამსახურთან გაფორმებული დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ექსპერტის თქმით, სკოლის ვებგვერდი 2016 წლის მაისის შემდეგ არ იყო განახლებადი მუშაობის რეჟიმში. ამდენად, ვერ ასრულებდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხარვეზი უკვე გამოსწორებული იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, რაზეც საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

3.3. ექსპერტ ნელი ნასყიდაშვილის განცხადებით, დაწესებულებას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მასწავლებელთა რაოდენობა - 48 პედაგოგი. აქედან 7 პედაგოგი არ იყო ჩართული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში. სტატუსი მინიჭებული არა ჰქონდა შემდეგი საგნის პედაგოგებს: საღვთო სჯული-3 პედაგოგი, დაწყებითი კლასები - 2 მასწავლებელი, ქართულისა და ბუნებისმეტყველების, ფიზიკური აღზრდა-1 მასწავლებელი და ქართული-1 მასწავლებელი. საღვთო სჯულის სამი მასწავლებლიდან ერთი სასულიერო პირი იყო. დანარჩენ ორ პედაგოგს ჰქონდა შემდეგი კვალიფიკაცია: ერთ პედაგოგს დამთავრებული ჰქონდა თბილისის სასულიერო სემინარიასთან არსებული საღვთისმეტყველო ინსტიტუტის ფსიქოლოგია-რელიგიამცოდნეობის ფაკულტეტი, ხოლო მეორეს- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სასულიერო სემინარია. დაწყებითი კლასის ერთ პედაგოგს, 2016 წელს, დამთავრებული ჰქონდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული ფილოლოგიის სპეციალობით. მეორე პედაგოგს დამთავრებული ჰქონდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი, ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობით და სკოლაში ასწავლიდა ბუნებისმეტყველებას. საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რატომ მოხდა იმ მასწავლებლების სკოლაში მიღება, რომლებიც არ იყვნენ სქემაში ჩართულნი, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ არაერთხელ გამოცხადდა ვაკანსია, თუმცა გამოხმაურება არ ყოფილა. სკოლის წარმომადგენლის თქმით, ქობულეთში ძალიან ჭირდა კვალიფიციური კადრების მოძიება.

საბჭოს თავმჯდომარემ 18:30 წუთზე გამოაცხადა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 18:55 წუთზე.

საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ა(ა)იპ ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო ცენტრს (ს/კ247009801), საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-10 და მე-12 პუნქტების საფუძველზე მისცა 60 დღიანი ვადა ხარვეზების სრულად გამოსასწორებლად და გადაწყვეტილების მიღების ვადამ გადაიწია მიცემული ვადის ამოწურვამდე.

4. **შპს თბილისის დამოუკიდებელ საერო გიმნაზია კანდელში** განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, დავით ჭეიშვილმა და თამარ ამზაშვილმა.

4.1. ექსპერტმა დავით ჭეიშვილმა განაცხადა, რომ ვიზიტის პერიოდში სამივე სტანდარტში იყო ხარვეზები, სკოლის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმა იყო გასული წლის. სკოლას არ ჰქონდა 2017-2018 სასწავლო წლის ეროვნული სასაწავლო გეგმა. სასწავლო გეგმა განხილული იყო პედაგოგიური საბჭოს 2017 წლის 27 აგვისტოს სხდომაზე, თუმცა ოქმში არ იყო ნათლად ჩამოყალიბებული დამტკიცებული იყო თუ არა სასკოლო სასწავლო გეგმა. ოქმის დადგენილებაში მხოლოდ ის ეწერა, რომ მათთვის მისაღები იყო შემოთავაზებული სასკოლო სასწავლო გეგმა. ასევე ოქმი არ იყო ხელმოწერილი პედსაბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის მიერ. არ არსებობდა დირექტორის მიერ სასწავლო გეგმის დამტკიცების ბრძანება. კათედრების ხელმძღვანელებს არ ჰქონდათ შემუშავებული სამოქმედო გეგმები. ვიზიტის მეორე დღეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ გეოგრაფიის მასწავლებლის სასწავლო გეგმისა და შემაჯამებლების ნიმუშის ნახვა. გიმნაზიის დირექტორის განმარტებით სხვა მასწავლებლებიც ელექტრონული ფორმით ამზადებდნენ თემატურ-კალენდარულ გეგმებს, რომლებითაც შეიძლებოდა დადასტურებულიყო არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების შინაარსით სწავლება. კათედრების მიერ წარმოდგენილი პორტფოლიოები შარშანდელი იყო და მხოლოდ ერთი ოქმისგან შედგებოდა. არ ჩანდა კათედრების საქმიანობის შუალედური და შემაჯამებელი ანგარიშები, მიღწევების ანალიზი და არც ახალი სასწავლო წლის დაწყებისთვის აუცილებელი ქმედებები. გასული სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან, გიმნაზიამ,

გაითვალისწინა ავტორიზაციის ექპერტების რეკომენდაცია და შეიმუშავა შემაჯამებელი დავალებისთვის შეფასების სქემა, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მომხდარიყო მოსწავლის ნამუშევრების შეფასება წლის ბოლომდე. თუმცა გიმნაზიამ ვერ წარმოადგინა მიმდინარე სასწავლო წლის შემაჯამებელი დავალებები და მისი ანალიზი. მიზეზად დასახელდა, რომ ჯერ არ ჩაუტარებიათ შემაჯამებელი დავალებები, ან არ შეუსწორებიათ. ქართულის პედაგოგმა აღნიშნა, რომ მან შემაჯამებელი დავალება ჩაატარა დებატების სახით. მასწავლებლებმა ვერც მათ მიერ შემუშავებული თემატური ან კალენდარული გეგმები და საგნობრივი პროგრამები წარმოადგინეს.

2017-2018 სასწავლო წლისათვის, მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტისას გიმნაზიას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე. გიმნაზიის 2016-2017 ს/წლის სასწავლო გეგმაში არსებობდა ჩარჩო დოკუმენტი, სადაც აღწერილი იყო სასწავლო და სააღმზრდელო მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის, რომლითაც სკოლა იხელმძღვანელებდა ამ კატეგორიის მოსწავლის მიღების შემთხვევაში. კერძოდ, შემუშავებული იყო ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამატებითი დამხმარე პერსონალის საჭიროება, საჭირო და დამატებითი მატერიალური რესურსი და სხვა. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ წლევანდელი სასწავლო გეგმა არ იყო დამტკიცებული, შესაბამისად, ვერ ჩაითვლებოდა, რომ სკოლა უზრუნველყოფდა სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით ყველა მოსწავლეს და რომ სკოლას ჰქონდა სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.

სკოლის დირექტორის განცხადებით, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები ეფუძნებოდა სასწავლო წლის მანძილზე საგნის მასწავლებლების, კლასის დამრიგებლების, კათედრის ხელმძღვანელებისა და ადმინისტრაციის მიერ მოგროვილ და გაანალიზებულ მონაცემებს. თუმცა ასეთი ანალიზის წერილობითი დასკვნა ვერ იქნა ნანახი. ასევე ვერ იქნა ნანახი გიმნაზიის 2017-2018 წლის სასწავლო გეგმა. შესაბამისად ვიზიტის დროს ვერ შეფასდა მისი შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ სკოლის პოზიცია პროგრამულ ნაწილში დაფიქსირებულ ხარვეზებთან მიმართებაში.

სკოლის დირექტორის განცხადებით მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის პირველ დღეს მან წარმოადგინა სასწავლო გეგმის სამუშაო ვერსია, თუმცა იმავე დღეს ექსპერტებს სკოლის დირექტორის მიერ წარედგინათ სასწავლო გეგმის სრული ვერსია, სადაც შეტანილი იყო ცვლილებები და განსხვავდებოდა სამუშაო ვერსიისაგან.

ექსპერტმა თამარ ამზაშვილმა განაცხადა, რომ სკოლის დირექტორის მიერ წარდგენილი არცერთი სასწავლო გეგმა არც სამუშაო და არც სრული სასწავლო გეგმა არ შეესაბამებოდა სტანდარტის

მოთხოვნებს. სასწავლო გეგმას თავფურცელზე ეწერა, რომ სასწავლო გეგმა 2017 წლის 27 აგვისტოს იყო დამტკიცებული. ხოლო მეორე გვერდზე თავიდან მითითებული იყო 2016-2017 სასწავლო წელი და გადაკეთებული იყო 2017-2018 წლად. თამარ ამზაშვილის განმარტებით, სკოლას ჰქონდა საშუალება ვიზიტის პერიოდში ხარვეზი გამოესწორებინა, თუმცა ვიზიტის მეორე დღეს სკოლის დირექტორმა ექსპერტებს სასწავლო გეგმის მხოლოდ ის ნაწილი წარუდგინა, სადაც შესწორებული იყო 2016-2017 წელი 2017-2018 წლად. სკოლის დირექტორმა ასევე წარმოადგინა ბრძანების ახალი წიგნი, სადაც შეტანილი იყო განახლებული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ გამოცემული ბრძანება პირველ ნომრად.

საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ სკოლის დირექტორს მიმართა , რომ მათ ჰქონდათ საქმის წარმოების წესი დარღვეული ვინაიდან ბრძანების წიგნში ბრძანებების დანომვრა უნდა მომხდარიყო წლის დასაწყისში და უნდა გაგრძელებულიყო თანმიმდევრობით წლის ბოლომდე, ხოლო ბრძანების წიგნის დახურვას და ახლით ჩანაცვლებას ჰქონდა თავისი წესი, რომელიც ამ შემთხვევაში არ განხორციელებულა.

4.2. ექსპერტ დავით ჭეიშვილის განმარტებით, სკოლის საკლასო ოთახებში განლაგებული იყო 76 ცალი ერთადგილიანი მერხი თავისი სკამით. ყველა ოთახში იყო დაფა, მასწავლებლისთვის მაგიდა. დაწესებულებამ წარმოადგინა 81 ერთადგილიანი მოსწავლის მერხის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. დაწესებულებას მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული ჰქონდა 100 ადგილი. რაც შეუსაბამობაში იყო რეალურად არსებულ მოსწავლეთა მერხების რაოდენობასთან. დაწესებულებას არ ჰქონდა სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი, არც ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული შესაბამისი მომსახურებისთვის. სკოლის დირექტორის განმარტებით სპორტის გაკვეთილები ტარდებოდა სკოლის შენობაში 65,77 კვ.მ. ფართის ოთახში, რომელშიც სპორტის გაკვეთილისთვის არ იყო ელემენტარული უსაფრთხოების ნორმები დაცული, მაგალითად აღმოსავლეთის მხარეს იატაკიდან ჭერამდე იყო შემინული კარ-ფანჯარა, სამხრეთის მხარეს კი კედელზე ეკიდა დაახლოებით 5-6 კვ.მ. ფართის სარკე. არცერთი მათგანი დაცული არ იყო შესაბამისი დამცავი ბადით, რაც საფრთხეს უქმნიდა მოსწავლეების ჯანმრთელობას.

სკოლის წარმომადგენელმა ამ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სკოლამ გაითვალისწინა შენიშვნა და მოახდინა დამცავი ბადეების განთავსება საჭირო ადგილებში.

საბჭოს თავმჯდომარე მანანა რატიანი დაინტერესდა, სპორტის რა სახეობებს სთავაზობდა სკოლა მოსწავლეებს, რაზეც სკოლის დირექტორმა უპასუხა, რომ სკოლაში მიმდინარეობდა ჭადრაკის და ჭიდაობის გაკვეთილები. საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ სკოლის წარმომადგენლებს განუმარტა, რომ სკოლა ვალდებული იყო მოსწავლეებისთვის შეეთავაზებინა მინიმუმ სპორტის სამი სახეობა.

წინააღმდეგ შემთხვევაში ირღვეოდა როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის, ასევე ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნები.

ექსპერტის თქმით, დაწესებულებას შეძენილი ჰქონდა ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგიის (აინშტაინის) ლაბორატორია, თუმცა ოთახი, რომელშიც ამ ლაბორატორიის ნაწილი იყო განთავსებული არ შეესაბამებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლების შესწავლისათვის საჭირო ლაბორატორიის მოთხოვნებს. ოთახში არსებული თვალსაჩინოების ნაწილი (ფიზიკის) ელაგა დასანახად, ნაწილი კი ჩალაგებული იყო ყუთებში, რაღაც ნაწილი თავისი ყუთებით ჩალაგებული იყო იქვე მდგარ საწოლში , დანარჩენი კი არ ჩანდა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის დირექტორის განმარტებით, მასწავლებლები საჭიროების მიხედვით იღებდნენ ლაბორატორიულ ხელსაწყოებს ყუთიდან და მიჰქონდათ საკლასო ოთახში, ხოლო რაც არ სჭირდებოდათ ის ნივთები დასაწყობებული იყო და საწყობის ადგილმდებარეობა დირექტორმა არ დააკონკრეტა და არც ნახვის საშუალება მიეცათ. საბჭოს წევრმა, მარინა უშვერიძე დაინტერესდა, რატომ იყო დასაწყობებული ლაბორატორიული ხელსაწყოები, სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, მიზეზი იყო ლაბორატორიის კედლიდან გაჟონილი წყალი, რის გამოც გვერდით მყოფ ბიბლიოთეკასა და ლაბორატორიას შეუცვალეს ადგილები. სკოლაში იყო ბიბლიოთეკა, რომელშიც განთავსებული იყო ძირითადად სასკოლო სახელმძღვანელოები. ისინი შესაბამისობაში იყო სკოლის სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სახელმძღვანელოებთან. ბიბლიოთეკას არ ჰქონდა საინვენტარო წიგნი, იყო საკანცელარიო ჟურნალი, რომელშიც ჩამოწერილი იყო წიგნების დასახელებები. ამ ჟურნალის მიხედვით სკოლაში იყო 301 წიგნი, ხოლო მეორე სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით კი იყო 728 წიგნი. ამ ორი მონაცემიდან რომელი იყო სწორი ვერ დადგინდა წიგნების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის გამო. ბიბლიოთეკას არ ჰქონდა კატალოგი. ჰქონდა წიგნების ჩამონათვალი ექსელის ფაილში. ბიბლიოთეკაში არ იყო საგანმანათლებლო პერიოდიკა და დამხმარე მასალები. ოთახში იდგა 6 ერთადგილიანი მერხი და 2 სკამი. საბჭოს წევრმა, მარინა უშვერიძე დაინტერესდა, რისთვის იყო საჭირო ორი სრეგისტრაციო ჟურნალის არსებობა ბიბლიოთეკაში, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს ჟურნალები იყო სამუშაო, ერთ სარეგისტრაციო ჟურნალში იყო აღრიცხული სასკოლო წიგნები, ხოლო მეორეში ლიტერატურული წიგნები. მან საბჭოს წარმოუდგინა გაერთიანებული სარეგისტრაციო ჟურნალი. საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, საბჭოს სხდომაზე შეუძლებელი იყო იმის გადამოწმება, ემთხვეოდა თუ, არა წიგნების ჩამონათვალი ერთმანეთს და გამომდინარე აქედან, ეს საკითხი ბუნდოვანი დარჩა. სკოლაში ვიზიტის პირველ დღეს იყო ერთი პერსონალური კომპიუტერი და ერთი ლეპტოპი, ხოლო მეორე დღეს აღნიშნულ რაოდენობას დაემატა სამი ლეპტოპი, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ პერსონალური კომპიუტერის

ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ლეპტოპების შეძენის დოკუმენტი წარმოდგენილი იყო, მაგრამ ამ დოკუმენტიდან არ ჩანდა, რამდენი ლეპტოპი იყო შეძენილი გადახდილი თანხით და გარდა ამისა, ამ დოკუმენტში მითითებული ლეპტოპის საფირმო სახელი არ შეესაბამებოდა რეალურად ჩვენს წინ მდებარე ლეპტოპების საფირმო დასახელებებს. სკოლას ჰქონდა ორი ცეცხლმაქრი, რომლებიც განთავსებული იყო დერეფნებში. არ იყო შემუშავებული ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ ხანძარსაწინააღმდეგო, წესრიგის დაცვის და სამედიცინო დახმარების მექნიზმები ერთ დოკუმენტად, თუმცა ექსპერტების რეკომენდაციის საფუძველზე, ვიზიტის შემდგომ მოხდა ამ დოკუმენტების ცალკე შემუშავება. ექსპერტმა დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს შესწავლილი დოკუმენტი იყო ზედაპირული ხასიათის და მასში არ იყო დეტალურად გაწერილი პასუხისმგებლობები და მოვალეობები. ექსპერტ დავით ჭეიშვილის თქმით, სკოლა მდებარეობდა 2 სართულიანი შენობის მე-2 სართულზე, ხოლო პირველი სართული აუთვისებელი იყო. საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ ჰკითხა სკოლის წარმომადგენელს, ჰყავდა, თუ არა სკოლას დარაჯი, ვინც აკონტროლებდა სკოლის ტერიტორიაზე გადაადგილებას, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სკოლის ტერიტორიაზე გადაადგილებას აკვირდებოდა მორიგე მასწავლებელი. ექსპერტ დავით ჭეიშვილის თქმით, ექსპერტები სკოლის ტერიტორიაზე თავისუფლად აღმოჩნდნენ, ისე, რომ შენობის პირველ სართულზე მდებარე სკოლაში შემოსასვლელი კარს არავინ აკონტროლებდა. სკოლის შენობაში დამონტაჟებული იყო სამი ვიდეოსამეთვალყურეო კამერა, გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული იყო ორი ვიდეოსამეთვალყურეო კამერა, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისთვის წაყენებულ მოთხოვნებს, კერძოდ კი სკოლის ცენტრალურ შესასვლელს ორი კამერის ნაცვლად აკონტროლებდა ერთი კამერა. სკოლას ჰქონდა ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. სკოლაში შესასვლელ კიბეებზე მოწყობილი იყო ასაკეცი პანდუსი, იყო შესაბამისი სველი წერტილი, რომლითაც შესაძლებელი იყო ესარგებლა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში იყო ექიმის თანამდებობრივი ინსტრუქცია, რომელშიც მოცემული იყო ექიმის საქმიანობის აღწერა, საშტატო განრიგით გათვალისწინებული იყო ექიმი, თუმცა მათი ვიზიტის პერიოდში ექიმი სკოლაში არ იყო. სკოლას არ ჰქონდა სამედიცინო კაბინეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, რაზეც საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

4.3. ექსპერტ დავით ჭეიშვილის განცხადებით, დაწესებულებას ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით აღმოაჩნდა ხარვეზები. კერძოდ, შპს თბილისის დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „კანდელის"დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული იყო 30 საშტატო ერთეული. აქედან პედაგოგი იყო 23 , 4 უფროსი პედაგოგი , -7 პრაქტიკოსი პედაგოგი. ვიზიტის დროს დაფიქსირდა გარკვეული უზუსტობა დამტკიცებულ საშტატო განრიგსა და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში განთავსებულ თანამშრომელთა სიაში. მაგ: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით გიმნაზიაში მუშაობდა 29 თანამშრომელი. მათ შორის იყო ფსიქოლოგი და იურისტი, რაც არ ფიქსირდებოდა საშტატო განრიგში. იურისტს ხელშეკრულებაში სამუშაო რეჟიმი დაფიქსირებული ჰქონდა შემდეგნაირად - „დირექტორის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგით", რაც არ იყო შესაბამისობაში წარმოდგენილ საშტატო განრიგთან, რადგან იქ საერთოდ არ ფიგურირებდა იურისტი. ასევე, ფსიქოლოგის შტატი ასახული იყო ემისის ბაზაში და არ იყო გიმნაზიის საშტატო განრიგში. დირექტორის განმარტებით ბიბლიოთეკარი ასრულებდა ფსიქოლოგის ფუნქციასაც, რაც არ ჩანდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებაში. 11 მასწავლებელი ჩართული იყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში, ხოლო 12 მასწავლებელი არ იყო ჩართული. საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ მოითხოვა 12 მასწავლებლის სქემაში ჩაურთველობის მიზეზის განმარტება, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მასწავლებლების ნაწილი იყო დიპლომირებული და საგანჩაბარებული, ხოლო ნაწილს სამოც კრედიტიანი პროგრამა ჰქონდა გავლილი და ელოდებოდა, თუ როდის მოხდებოდა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში ამ მასწავლებლების ასახვა. საბჭოს წევრის, ხათუნა ბარაბაძის განმარტებით, სამოცკრედიტიანი პროგრამის გავლის შემთხვევაში, სკოლას ცნობა უნდა აეღო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სექტემბრის დასაწყისში, აეტვირთა ბაზაში და ამის შემდეგ, მასწავლებლის სახლი და ემისი გაატარებდა რეგისტრაციას და ჩართავდნენ სქემაში პედაგოგებს. შესაბამისად, სკოლის წარმომადგენლის განმარტება სარწმუნოდ ვერ მიიჩნეოდა.

ექსპერტ დავით ჭეიშვილის თქმით, გიმნაზიის შინაგანაწესით არ იყო განსაზღვრული თანამშრომელთა მიღებისა და გათავისუფლების წესები და სამსახურში მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს თბილისის დამოუკიდებელი საერო გიმნაზია კანდელის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დარღვეულია ავტორიზაციის სამივე სტანდარტის მოთხოვნები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის დამოუკიდებელი საერო გიმნაზია კანდელის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნების და დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე „„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „„გ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „„გ“ ქვეპუნქტისა და 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის დამოუკიდებელ საერო გიმნაზია კანდელს (ს/კ: 204414981) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

5. შპს ლაზარეს ავტორიზაციის თაობაზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 17 აგვისტოს N58 გადაწყვეტილებაში, ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ლალი შაიშმელაშვილმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს განსახილველად წარუდგინა წლის 16 ნოემბრის სამსახურებრივი ბარათი, რომლითაც ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ეცნობა ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 17 აგვისტოს N 58 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის შესახებ. კერძოდ, შეცდომით იყო დაფიქსირებული შპს ლაზარეს საიდენტიფიკაციო კოდი. ნაცვლად (ს/კ 216358242)- ისა მითითებული იყო (ს/კ 405162087). ლალი შაიშმელაშვილმა დააყენა შუამდგომლობა საბჭოს წინაშე, განეხილათ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 17 აგვისტოს N 58 გადაწყვეტილებაში დაშვებული ხარვეზის გამოსწორების საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ, მანანა რატიანმა კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 17 აგვისტოს N 58 გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის და შპს ლაზარეს საიდენტიფიკაციო კოდად 216358242 დაფიქსირების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, შევიდეს ცვლილება შპს ლაზარეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 17 აგვისტოს N 58 გადაწყვეტილებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. შპს ლაზარეს (საიდენტიფიკაციო კოდი 216358242) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 21:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

მანანა რატიანი

მდივანი

თამილა ჩუბინიძე